

შპს გეორგინა

შპს გეორგინა

ფინანსური ანგარიშგება
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა
2022 წლის 31 დეკემბერს

შპს გეორგინა

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს გეორგინა ს/კ 202192509 (შემდგომში - „კომპანია“), საქართველოში რეგისტრირებული და მოქმედი კერძო კომპანიაა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით და მოწყობილობებით

იურიდიული მისამართი თბილისი, დიდუბის რაიონი, წერეთლის გამზ., №89

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პარტნიორი არის:

- ციციწო ფუტკარაძე, (01001000999) - 100%;

კომპანიის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი:

- ციციწო ფუტკარაძე, (01001000999)

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად

გასულ პერიოდებში კომპანია არ წარადგენდა ფინანსურ ანგარიშგებას მსს ფასს-ების მიხედვით. „მსს ფასს“ ებზე გადასვლის თარიღია 2022 წლის 31 დეკემბერი, შესაბამისად გადაანგარიშდა შესადარისი პერიოდი

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს: 2022 წლის 31 დეკემბრისათვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას; სრული შემოსავლის ანგარიშგებას; საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მეწილეებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია და შესაბამისად აფასებენ, რომ კომპანიას როგორც ფუნქციონირებად საწარმოს აქვს საქმიანობის გაგრძელების უნარი.

შეფასების ვალუტა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილია ლარში („ლარი“ ფუნქციონირებადი ვალუტა).

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, კონვერტირებადი ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანსაქციის განხორციელების დღისათვის, ამასთანავე საანგარიშო წლის ბოლო თარიღით ხდება მათი გადაფასება. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. კონვერტაციის შედეგად წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობა აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებზე, მოგებად ან ზარალად.

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი შეფასება ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულების პირველადი შეფასება

ხდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით), ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სხვა საწარმოზე გაცემულ გრძელვადიან სესხთან დაკავშირებით, მოთხოვნა აღიარდება მისაღები ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირითადი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით.

აღიარების შემდგომი შეფასება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს სავალდებულო ინსტრუმენტები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან რომელთა რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება სხვაგვარად არის შესაძლებელი მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, ფასდება თვითღირებულების გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალების რეზერვების გამოყენებით შემცირებით.

აქტივების თვითღირებულება გაიანგარიშება აქტივების შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფულის ან ფულის ექვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალურ ღირებულების თანხით.

რეალური ღირებულება ფასდება თანხით, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიყვანოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“.

ამორტიზებული ღირებულება - თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარებული იყო თავდაპირველი აღიარებისას ძირითადი თანხის დასაფარად გადახდილი თანხების გამოკლებით.

მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტურ საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს

შორის განსხვავების მიმართ. საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი არ არის წარდგენილი ცალ-ცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

საწარმო ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება მოიცავს ისეთ მონაცემებს, რომლებიც აქტივის მფლობელისთვის გახდება ცნობილი გაუფასურების გამომწვევი შემდეგი მოვლენების შესახებ:

ხელშეკრულების პირობების დარღვევა, გადაუხდელობა, ან ვადაგადაცილება არ შეიძლება დაკავშირებული იყოს ანგარიშსწორების სისტემებით გამოწვეულ დაგვიანებასთან.

მხარეს გააჩნია მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები, რაც დასტურდება კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;

როდესაც მოსალოდნელია, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი;

კომპანია დებიტორის ფინანსურ სიმძლევებთან დაკავშირებული ეკონომიკური ან იურიდიული მიზეზების გამო, დებიტორს სთავაზობს ისეთ დათმობებს, რომლებსაც სხვა შემთხვევაში არ

ობიექტური ნიშნების არსებობა, რომლებიც იმაზე მიუთითებს, რომ შემცირდა ფინანსური აქტივების ჯგუფთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადები მათი საწყისი აღიარების შემდეგ, თუმცა ამგვარი შემცირების ოდენობის განსაზღვრა ჯგუფში შემავალი ცალკეული ფინანსური აქტივისთვის ჯერჯერობით შეუძლებელია.

გაუფასურების კუთხით ერთობლივი წესით შეფასებული ფინანსური აქტივების სამომავლო ფულადი ნაკადები განსაზღვრულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივებზე მიღებული ზარალის ისტორიული მონაცემების საფუძველზე. ზარალის ისტორიული მონაცემების კორექტირება ხდება არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რათა ასახულ იქნას მიმდინარე არსებული პირობების გავლენა, რომელთაც მანამდე გავლენა არ მოუხდენიათ ზარალის ისტორიულ მონაცემებზე, და ასევე არ იქნას გათვალისწინებული გამოცდილების საფუძველზე დადგენილი ის გარემოებები, რომლებიც ამჟამად აღარ არსებობს. . სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდოლოგიის და დაშვებების შესწორება ხდება რეგულარულად, მოსალოდნელ და ფაქტობრივ ზარალს შორის სხვაობის შემცირების მიზნით.

გაუფასურების ზარალი ყოველთვის აღიარდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირების მიზნით .

გაუფასურების შემდგომ პერიოდში ადგილი ექნება აქტივის გაუფასურების ზარალის თანხის შემცირებას რაც დაკავშირებული იქნება გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს რეზერვის ანგარიშის კორექტირებით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას, რომელსაც გააჩნია ამ აქტივის მთლიანად გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა ნებისმიერ არადაკავშირებულ მესამე მხარეზე, შეუძლია ამ შესაძლებლობის გამოყენება ცალმხრივად და აქტივის გადაცემაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების აუცილებლობის გარეშე არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს.

კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარ გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გამო.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსურ ვალდებულების აღიარებას, როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება იფარება, უქმდება ან ვადა გასდის.

კომპანია დაფარულ ან სხვა მხარისათვის გადაცემულ ფინანსურ ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა დაგადახდილ კომპენსაციის თანხას შორის (ნებისმიერი გადაცემული არაფულადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების ჩათვლით) სხვაობას ასახავს მოგება-ზარალში. გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადარფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არის კანონიერი უფლება , რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები მოიცავს კომერციულ ბანკში მიმდინარე ანგარიშზე განთავსებულ ფულად სახსრებს და სალაროში არსებულ ფულს

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში მიწოდებული მომსახურების ან/და საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები

სავაჭრო დებიტორული დავალიანება თავდაპირველად გამოხატულია გარიგების თანხით, შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური საფუძველი რომ კომპანია ვერ შეძლებს მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნის თანხის მიღება შეუძლებელია, ის ჩამოიწერება

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

კომპანია ძირითად საშუალების თავდაპირველი აღიარებისას აფასებს თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ ყველა პირდაპირ ხარჯს. თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასება ხდება თვითღირებულების მოდელით.

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები ემატება ამ აქტივის ღირებულებას ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და საწარმოსათვის შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალებებისათვის კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის სასარგებლო მომსახურების მთელი ვადის მანძილზე.

ძირითადი საშუალებების ცვეთის თანხა ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში

კომპენსაცია, რომელიც საწარმოს მისაღები აქვს მესამე მხარეებისაგან, დაზიანების, დაკარგვის ან გაცემის შემთხვევაში, მოგება/ზარალში ამ მოთხოვნის წარმოშობის პერიოდში.

ძირითადი საშუალებების აღიარების შეწყვეტა ხდება აქტივის გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აღიარების შეწყვეტის შედეგად შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. შედეგი აღიარდება იმ პერიოდის მოგება/ზარალში, რომელშიც ადგილი ქონდა აღიარების შეწყვეტას.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღრიცხვას კომპანია ახდენს უწყვიტი აღრიცხვის მეთოდით

საწარმო მარაგებს აფასებს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს შემენასა და მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ ყველა დანახარჯს. მარაგების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მუხლში ერთიანდება მომწოდებლებისათვის გადასახდელი თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის ან საქონლის მოწოდების შედეგად. თუ სავაჭრო ვალდებულების დაფარვამოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ვალდებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდება გრძელვადიან ვალდებულებებში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში) საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა/ხარჯი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში შესაბამისად.

საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, საკუთრების უფლების ცვლილება), მხოლოდ კომპანიის მესაკუთრის გადაწყვეტილებით ხდება.

საკუთარი კაპიტალი მოიცავს საწარმოს მესაკუთრეების მიერ განხორციელებულ ინვესტიციას, ამ ინვესტიციების მატებას, რომელიც მიღებულ იქნა კომპანიის მომგებიანი საქმიანობებიდან და საწარმოში რჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენების მიზნით და მესაკუთრეთა ინვესტიციის შემცირებას, რაც განაპირობა არამომგებიანმა ოპერაციებმა და მესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

შემოსავლები და ხარჯები

ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშგებო პერიოდში მიღებული შემოსავლები და გაწეული ხარჯები

- შემოსავლის და ხარჯის აღიარება ხდება, როცა მოსალოდნელია ამ მუხლით გამოწვეული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა ან საწარმოდან გასვლა და მუხლს გააჩნია თვითღირებულება ან ღირებულება, რომელიც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

- შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდში.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯები აღიარდება მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება მომზადებულია პირდაპირი მეთოდით, რაც გულისხმობს ანგარიშგების თარიღისათვის ფულადი სახსრების წყაროების და გამოყენების შესახებ, ასევე, ფულადი სახსრების ნაშთების შესახებ სააღრიცხვო მონაცემებზე ინფორმაციის წარმოდგენას საანგარიშგებო პერიოდში საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ფულადი სახსრების ნაკადების სახით.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

ფული და ფულის ექვივალენტები

წარმოდგენილია შემდეგნაირად	31.12.2022	31.12.2021
ფული სალაროში	68584	243279
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	43952	6963
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	73213	63
	185749	250305

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

წარმოდგენილია შემდეგნაირად	31.12.2022	31.12.2021
მოთხოვნა მიწოდებიდან და მომსახურებიდან	27183	12336
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	533568	272645
	560751	284981

ანგარიშგების თარიღისათვის მოთხოვნები არაა საექვო, ამდენად, არაა შემცირებული საექვო მოთხოვნების ანარიცხებით

მარაგები

წარმოდგენილია შემდეგნაირად	31.12.2022	31.12.2021
გასაყიდი საქონელი	2442465	2328675
საწვავი	6501	8758
	2448966	2337433

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების 2021 და 2022 წლის საბალანსო ღირებულების ცვლილებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	კომპიუტერული ტექნიკა	ა/მანქანა	ოფისის ინვენტარი	იჯარით აღებული	მანქანა დანადგარები	სულ
01.01.2021 წელი	20173	112797	94478		7528	234976
შემოსვლა/კაპიტალ	762	5500				6262
გასვლა/ჩამოწერა	0					0
31.12.2021 წელი	20935	118297	94478	0	7528	241238
შემოსვლა/კაპიტალ	10286	13646	7782	63909		95623
გასვლა/ჩამოწერა	0					0
31.12.2022 წელი	31221	18141	102260			151622
დაგრივლი ცვეთა						0
01.01.2021 წელი	6151	49479	42964		3369	101963
ცვეთის ხარჯი	2165	7428	5846		551	15990
გასვლა	0					0
31.12.2021 წელი	8316	56907	48820		3920	117963
ცვეთის ხარჯი	2188	10505	6212	957	551	20413
გასვლა						0

31.12.2022 წელი	10504	67412	55032		4471	137419
საბალანსო ღირებულება						0
01.01.2021	14022	63318	51514		4159	133013
31.12.2021	12619	61390	47750		3608	125367
31.12.2022	20717	49531	47222	62952	3057	183479

ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით და ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2022	31.12.2021
ვალდებულება მოწოდებიდან და მომსახურებიდან	2965	6144
საგადასახადო ვალდებულება	41311	81913
მყიდველებიდან მიღებული ავანსი	123834	97240
ვალდებულება პერსონალის მიმართ	30000	0
	198110	185297

გრძელვადიანი ნაქსეხები სახსრები წარმოდგენილია შემდეგნაირად

01.01.2021 მდგომარეობით	648699
სესხის აღება	450644
სესხის დაფარვა	-995008
საკურსო სხვაობა	168663
31.12.2021 მდგომარეობით	272998
სესხის აღება	427110
სესხის დაფარვა	-354470
საკურსო სხვაობა	12635
31.12.2021 მდგომარეობით	358273

სესხი აღებულია ბანკიდან, წლიური საპროცენტო განაკვეთი 7 %

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

დასახელება	მფლობელთა კაპიტალი	მოგება/ზარალი	სულ კაპიტალი
01.01.2021 მდგომარეობით	0	3731040	3731040
კაპიტალის ზრდა	0		0
კაპიტალის შემცირება	0	0	0
გაცემული დივიდენდი		-1533000	-1533000
2021 წლის ფინანსური შედეგი	0	640207	640207
31.12.2021 მდგომარეობით	0	2838247	2838247
კაპიტალის ზრდა	0		0
კაპიტალის შემცირება	0		0
გაცემული დივიდენდი	0	-780000	-780000
2022 წლის ფინანსური შედეგი	0	1062771	1062771
31.12.2022 მდგომარეობით	0	3121018	3121018

ამონაგები	31.12.2022	31.12.2021
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	4123275	3519307
თვითღირებულება	31.12.2022	31.12.2021
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	-2205026	-1977564

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი
 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
საპენსიო ხარჯი	-1973	-1688
ბანკის მომსახ	-44495	-39976
დაცვის ხარჯი	-1943	-1728
კომუნიკაციის	-7540	-5334
კომუნალური	-17475	-15281
საკანცელარიო	-1060	-1967
ა/მ საექსპლოატაციო ხარჯი	-5364	-1298
დაზღვევა	-14264	-6311
საგადასახადო ხარჯი	-2190	-3820
საწვავის ხარჯი	-42140	-41341
საკონსულტაციო ხარჯი	-4998	-144
საოფისე მცირეფასიანი საგნების ხარჯი	-3194	-2500
რეკლამის	-3698	2038
სხვა საერთო ხარჯი	-7776	-6211
	-158110	-125561

მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომ, ადგილი არ ქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას.

დირექტორი

საქონო ფაქტობ

შპს გეორგინა

ფინანსური მდგომარეობა

	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტი	185749	250305	993800
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	27183	12336	23694
გადახდილი ავანსები	533568	272645	68348
მარაგები	2448966	2337433	2996046
მზა პროდუქცია	2448966	2337433	2996046
სხვა მიმდინარე აქტივები	0	0	9471
სხვა არამატერიალური აქტივები	1294	1294	1294
ძირითადი საშუალებები	183479	125367	133013
სხვა გრძელვადიანი აქტივები	297162	297162	332973
სულ აქტივები	3677401	3296542	4558639
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	2965	6144	74040
ვალდებულება თანამშრ. მიმართ	30000	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	41311	81913	70853
გამომუშავებული შემოსავალი	123834	97240	0
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	358273	272998	648699
სხვა ვალდებულებები	0	0	34007
სულ ვალდებულებები	556383	458295	827599

საკუთარი კაპიტალი

გაუნაწილებელი მოგება	3121018	2838247	3731040
სულ საკუთარი კაპიტალი	3121018	2838247	3731040
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3677401	3296542	4558639
სულ მოკლევადიანი აქტივები	2664326	2602106	1102
სულ მოკლევადიანი ვალდებ.	168110	185297	0

შპს გეორგინა

დირექტორი

ციცინო ფუტყარაძე

ციცინო ფუტყარაძე

შპს გეორგინა

საქმიანობის შედეგები

	31.12.2022	31.12.2021
ნეტო ამონაგები	4123275	3519307
საქონლის რეალიზაციიდან	4123275	3519307
მომსახურებიდან	0	0
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-2205026	-1977564
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საერთო მოგება	1918249	1541743
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-150529	-123495
იჯარის მომსახურება	-229420	-148622
ცვეთა და ამორტიზაცია	-17278	-16000
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-35490	-54922
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-158110	-125561
საოპერაციო მოგება	1327422	1073143
წმინდა შემოსულობა(დანაკარგი)უცხოური		
ვალუტიდან	-78965	-194038
მიღებული დივიდენდი	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი(ხარჯი)	-12646	-155
მოგება(ზარალი)მოგების გადასახადის ხარჯ.	1235811	878950
მოგების გადასახადის ხარჯი	-173040	-238743

საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი	1062771	640207
საკუთარი კაპიტალი საანგ.პერიოდის დასაწყისში	2838247	3731040
მესაკუთრეზე განაწილებული დივიდენდი	-780000	-1533000
საკუთარი კაპიტალი საანგარიშო წლის ბოლოს	3121018	2838247

შპს გეორგინა

დირექტორი

ციცინო ფუტყარაძე

ციცინო ფუტყარაძე

შპს გეორგინა

ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ

ფულადი სახსრების მოძრაობა

	31.12.2022	31.12.2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	633057	1323676
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	30000	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	-703850	-2055636
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-40793	731960
ვალუტის კურსის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე	-23763	-11535
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები ს/პერიოდ. დასაწყისში	250305	993800
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები ს/პერიოდ. ბოლოს	185749	250305

გეორგინა

დირექტორი

ციცინო ფუტყარაძე

ჩიქონი ვაჟაძე